

საქართველოს კანონი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს
კანონში
დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კანონის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყანაში სახელოვნებო/სასპორტო განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უფლება აქვს ამ კანონითა და თავისი წესდებით განსაზღვრული წესით დამხმარე საქმიანობის ფარგლებში განახორციელოს სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 78¹ მუხლი:

„მუხლი 78¹. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

1. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას სახელოვნებო/სასპორტო განათლების საფუძვლების სწავლების მიზნით უფლება აქვს შეიმუშავოს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა კონტინგენტისათვის და უზრუნველყოს მისი განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებას ახორციელებს თავისი წესდებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით უფლება აქვს საქართველოს განათლების სამინისტროსა და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების თანხმობით თავისი წესდებით განსაზღვრული წესით დააფუძნოს არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლების სწავლებასთან ერთად უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების ან/და მისი

რომელიმე საფეხურის (საფეხურების) სწავლებას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. კანონის 85-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 85. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონებით სარგებლობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელოვნებო/სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით შეიძლება უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემულ იქნეს 78¹ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტებით განსაზღვრული იურიდიული პირებზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
საკაკაშვილი

მიხეილ

თბილისი,
2009 წლის _____.